ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ
„სახელოვნებო სკოლების გაერთიანება"

2700 ლაგოდეხი, 26 მაისის ქ. № 20
ელ.ფოსტა: lag.saxelovnebo.skoola@gmail.com

ტელ: (354) 22 38 71
მობ: 5 (99) 94 64 05

28 დეკემბერი 2022 წ.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ჯონდო მდივნიშვილს

ანგარიში 2022 წელს ჩატარებული მუშაობის შესახებ

მოგახსენებთ, რომ 2022 წელს იანვრიდან შედგა წლის სამუშაო გეგმა.

17 იანვრიდან განახლდა 2021-2022 სასწავლო წლის II სემესტრი. 15 ივნისის ჩათვლით ჩატარდა გეგმით გათვალისიწინებული ყვალა სასკოლო ღონისძიება სახელოვნებო სკოლებში.
პანდემიის გამო ვერ ჩატარდა დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონცერტები, ასევე სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა.

2022 წლის 8 აპრილს ქ. ლაგოდეხის სახელოვნებო სკოლის საფორტეპიანო კლასისი VII კლასის მოსწავლე ლიკა გელაშვილმა (პედ. ნ. მესხიშვილი) მიიღო მონაწილეობა ქ. თელავში კლასიკური მუსიკის (ხელოვნების) მე-15 ეროვნულ კონკურს ფესტივალზე „მომავლის ვარსკვლავები".

18 აპრილს კინოთეატრ „სინემას" დარბაზში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრის ორგანიზებით, ჩატარდა ხატვის კონკურსი, სადაც მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს სახელოვნებო (სამხატვრო) სკოლის 5-მა მოსწავლემ, სადაც საპრიზო ადგილი მიენიჭა III კლასის მოსწავლე ანა ბუწაშვილს, ხოლო 4 მოსწავლეს გადაეცა სამახსოვრო საჩუქრები და სერთიფიკატები.

29 აპრილს ჩატარდა I-II-III-IV კლასის მოსწავლეთა შიდა სასკოლო კონკურსი „მუსიკალური ნაწარმოებების მოსმენა - გამოცნობა". ყველა კონკურსში მონაწილეს გადაეცა სიგელი.

23 – 24 მაისს ქ. ლაგოდეხის, 27 -31 მაისს სოფ. ლელიანის, 30 მაისს სოფ.ვარდისუბნის და 31 მაისს სოფ. აფენის სახელოვნებო სკოლებში ჩატარდა პედაგოგთა კლასის კონცერტები.

1 ივნისს ქ. ლაგოდეხის სახელოვნებო სკოლის დარბაზში ჩატარდა ბავშვთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ყოველწლიური (ტრადიციული) ღონისძიება მუდამ გვემღერებოდეს", სადაც მონაწილეობა მიიღო გაერთიანების ყველა სახელოვნებო სკოლის გუნდმა, ასევე მოეწყო სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა.

3 ივნისს ჩატარდა ღია აკადემიური კონცერტი სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობით.

7 ივნისს ხელოვნების მოყვარული ბავშვებისათვის, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტისა და ქალთა განვითარების ცენტრის Level UP -ის ორგანიზებით ჩატარდა მასტერ კლასი „დახატე ჩემთან ერთად ბუნებაში", სადაც მოწვეული იყო დარგის სპეციალისტი ქ. თბილისიდან ხათუნა ჟოლაძე, საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად სამხატვრო სკოლიდან ამ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 14 - მა მოსწავლემ.

15 ივნისს დამთავრდა 2021- 2022 სასწავლო წლის სასწავლო პროცესი.

2022 წლის 15 ივნისიდან 15 სექტემბრამდე იყო საზაფხულო არდადეგები.

სამუსიკო და სამხატვრო სკოლებში სექტემბერში მივიღეთ მოსწავლეები პირველსა და მაღალ კლასებში 2022 – 2023 სასწ. წლისათვის.

ასევე 2022 წლის 15 სექტემბრიდან ჩატარდა სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება.

დეკემბრის თვეში ყველა სახელოვნებო სკოლაში ჩატარდა საახალწლო ზეიმები. მოეწყო სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ა.(ა)ი.პ. „სახელონებო სკოლების
გაერთიანების" დირექტორი: /ნ. კობერიძე/